		<p>სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში.</p> <p>(b) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელების და საღებავების შესაბამის შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩაღვრა ხევში. ხიდის პარაპეტების შესაღებად არ უნდა იქნეს გამოყენებული პულვერიზატორი. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები არ უნდა იქნეს დასაწყობებული მდინარიდან 50 მეტრში. არ უნდა მოხდეს მასალებისა და ნარჩენების ჩაყრა ახტალისწყალის ხევში.</p> <p>(c) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(d) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(e) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შექცავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(f) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p> <p>(g) წყლის რეზერვუარისა და წყლის მილების დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს სადებიზინგეციო ხსნარის ნეიტრალიზება; თუ დებიზინგეცია მოხდება ქლორის ხსნარით, მისი ნეიტრალიზება შეიძლება მოხდეს ნატრიუმის ბი-სულფატით. ამ ნივთიერების გამოყენებაც უნდა მოხდეს იმ დოზით, რაც საჭიროა ნეიტრალიზაციისათვის. ნეიტრალიზებული წყლის გადაღვრა გარემოში უნდა შეთანხმდეს კონტრაქტორის მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან.</p>
	<p>ნარჩენების მართვა</p>	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) აკრძალულია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების დაწვა.</p> <p>(f) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	<p>მასალების მიწოდება</p>	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>

	<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>a) ნიადაგის ზედა ფენა უნდა მოიჭრას სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენახული უნდა იქნეს ისე, რომ შეუნარჩუნდეს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის ადგილი უნდა შეიღობოს და დაცული უნდა იქნეს ეროზიისაგან.</p> <p>c) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული უნდა იქნეს ლანდშაფტის აღდგენის სამუშაოებში;</p> <p>d) გამოუყენებელი ნიადაგი განაწილებული უნდა იქნეს შემოგარენში;</p> <p>e) ნიადაგის ზედა ფენა უნდა ინახებოდეს განცალკევებულად ქვედა ფენისაგან. მოხსნილი ნიადაგით უნდა მოხდეს ნაყოფიერი ფენის აღდგენა თავდაპირველ სიღრმემდე, რომელიც შეფასდება ვიზუალურად ნიადაგის ფენის მოხსნამდე. ნაყოფიერი ფენის აღდგენის სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ჯერ აღდგენილი იქნეს დასაწყობების ადგილიდან მოშორებით მდებარე ადგილები, რითაც აცილებული უნდა იქნეს ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილ ნიადაგზე. ნიადაგის აღდგენის შემდგომ. უნდა იქნეს გაფხვიერებული, დაცული უნდა იქნეს მისი სტაბილურობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის აღდგენას.</p> <p>f) არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს, აღნიშნული შესახებ ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და სამუშაოები განახლდეს მხოლოდ წერილობითი ნებართვის მიღების შემდგომ.</p> <p>g)</p>
<p>სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკურის მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირების გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია


<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუწყებელივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოჭრილია მიწის სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებულია შესაბამისად; მოწყობილია დამცავი ბარიერები; ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოიყენება მიმდებარე ლანდშაფტის აღდგენისათვის</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>შემოწმება</p>	<p>მიწის სამუშაოების პროცესში</p>	<p>სამშენებლო და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>მგფ</p> <p>მშენებლობის ზედამხედველი</p>
<p>ინერტული მასალების წყარო</p>	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p>	<p>კარიერები</p>	<p>დოკუმენტები სა და სამუშაოების ინსპექტირება</p>	<p>ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში</p>	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>

	<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>				<p>დეგრადირების მინიმოზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
საოპერაციო ფაზა						
შენობის მოვლა-პატრონობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები	მყარი ნარჩენების სწორი მართვა	მუნიციპალური ტერიტორია	ინსპექტირება	მუშაობის განმავლობაში	მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა;

საკადასტრო ინფორმაცია



მ.ჩ. (გზისუბრის) საკადასტრო კოდი **N 43.31.49.143**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია: **N 882016617732 - 13/09/2016 13:28:33** მომზადების თარიღი: **14/09/2016 10:49:00**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი/საკუთრება
შეღობილი	ქ. შეღობილი	31	49	143

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო საშენობლო
 ლაშქვებელი ფართობი: 259770.00 კვ.მ.
 ნაკვეთის წინა ნომერი: 43.34.03.349;
 შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 - განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ., N2 - 327.32 კვ.მ.

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი **882016617732**, თარიღი **13/09/2016 13:28:33**
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი **14/09/2016**

უფლების რამდენიმეხარვეზი ლოკუმენტი:
 • განკარგულება N1794, ლამიწმების თარიღი: 07/09/2016, საქართველოს შთავრისა

შესაკუთრები:
 სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ შეღობილის მუნიციპალიტეტი ID ნომერი: 220416976

შესაკუთრე: აღწერა:
 სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ შეღობილის მუნიციპალიტეტი

იპოთეკა


საგადასახლო გირავნობა:
 რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:
 რეგისტრირებული არ არის


ზოგადი რეესტრი:
 რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო <http://public.reestri.gov.ge> გვერდი: 1(2)



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული საკადასტრო რეესტრის მონაცემები. გეოცენტრი: 5002 წმ. ნულიდან. შუგის ქ. 2 ტელი: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
 უფლის საინჟინერო სამსახური. ქ. შეღობილი, 200 სტაციონის ქ. 34-5 www.nspr.gov.ge

გენერალური გეგმა



შასტი: 1 : 1000	ფორმა: A-3
ფორმატი: დონტა	
ეპიკატი	
Map Legend	
<ol style="list-style-type: none"> 1. ადმინისტრაციული შენობა 2. მუზეუმის სასახლე 3. საკონსერვატორი 4. კაფე-ბარ 5. სარკინიგზო დამაკრძებელი 6. მუზეუმის აბიე 7. მუზეუმის აბიე 8. საკონსერვატორი 9. საკონსერვატორი 10. სას. საბინაო 11. სას. საბინაო 12. სას. საბინაო 13. აბიე 14. საბინაო 15. საბინაო 16. საბინაო 	
<ul style="list-style-type: none"> საბინაო სახლი საბინაო სახლი საბინაო სახლი 	
Design for: დამკვეთი	
შპს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia	
Design by: შერეული საქართველოს მუზეუმების ასოციაცია Georgian Museums Association	
Tbilisi, Georgia Old Tbilisi district Ramveli Ave. N-37	
ქ. თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი მ. რუსთაველის გამზ. N-37	
Project Name: პროექტის სახელწოდება ქ. ზუგდიდში, დადიანების სასახლის ზიტარული ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი Zugdidi Dadiani Palace Botanical Garden Rehabilitation Project	
Drawing: სასაზო	
გენერალური გეგმა General Plan	
Drawn by: შერეული	
დირექტორი Director	კ. კამია K. Kania
მთ. არქიტექტორი Chief Architect	ნ. სულხანიშვილი N. Sulxhanishvili
არქიტექტორი Architect	დ. ხატიაშვილი D. Bakhadze
Date: თარიღი:	24.03.2016
	12 A-8

ადმინისტრაციული შენობის რენდერი

პიკეტაჟი
Visualization



საჯინიბოს რენდერი



ვიზუალიზაცია
Visualization



მეზალის სახლის რენდერი

პროექტის
Visualization



სანერგეს დამხმარე ნაგებობის რენდერი

3D-რენდერი
Visualization



ფოტო მასალა

ადმინისტრაციული შენობა

არსებული სინთეზის შესახებ ფოტომასალა
The Current Situation Photos





საჯინბო

ძვ. ხანის ფოტოალბომი
Interior Photo album



ჯვარედინი სასახლე



1



2



3



4



5



6



7



8



9

1
2
4
5
7
9

1
2
4
5
7
9

T
C
E

D
B
C
E
D

არსებული სიბუჩის
არსებული ფორმასა
The situation in the photo material



19 ივლისი, 2017

ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

მეორე რეგიონული და მუნიციპალური
ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (SRMIDP)

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის
გეგმისა და სოციალური საკითხების
საჯარო განხილვა

2017 წლის 19 ივლისს, 12:00 საათზე, ქალაქ ზუგდიდის მერიის შენობაში გაიმართა ქვე-პროექტის „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და სოციალური საკითხების საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქალაქ ზუგდიდის მერი ირაკლი გოგოხია და მერიის თანამშრომლები: ბადრი მესხი, სანდრო სორდია, ბესიკ არახამია, გრიგოლ ჯღამაია, ეკატერინე თოდუა, ზამირა ლადუა, მამუკა ლოგუა, გიორგი ბულია, პაატა თოდუა, ნათია ზაქარაია, დავით ჯაბუა, ირაკლი ფიფია, კობა მორგოშია, გიგლა სულამანიძე, ნუკრი ესართია, მათი ლუბელაძე, სალომე გუგუშვილი.

შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივი მაცხოვრებლები: ნინელი ჭითანავა, ოლგა კიკავა, მათი კოდუა, დათა აქუბარდია, ნუგზარ გაბელია, თაზო ფაცაცია, ნია კუპარაძე, თეონა შენგელია, ნუკრი ესართია.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნონა ჭიჭინაძე - სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი;

ქეთევან პაპაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ირაკლი წურწუშია - პროექტების შეფასების სამსახურის სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ნონა ჭიჭინაძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შეხვედრის მიზნების შესახებ.

ნ. ჭიჭინაძემ ჩაატარა პრეზენტაცია სოციალური ანგარიშვალდებულების/პასუხისმგებლობის შესახებ, რის მიზანსაც წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებების განხორციელების ეფექტურობის ხელშეწყობა. კერძოდ კი სამოქალაქო ჩართულობა და ანგარიშვალდებულება. რაც ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეხმარებათ ეკონომიკურად ეფექტური პროგრამების განხორციელებაში, და გაზრდის მათ შესაძლებლობებს ეკონომიურად და ეფექტურად შეასრულონ კომუნალური მომსახურების ფუნქციები.

ნ. ჭიჭინაძე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა სოციალური ანგარიშგების მნიშვნელობაზე, სოციალური ანგარიშგების საქმიანობასთან დაკავშირებულ მიმართულებებზე: 1. ინფორმაციის გავრცელება/პროცესების გამჭვირვალეობა, 2. მოქალაქეებთან კონსულტაციები 3. მოქალაქეებთან უკუკავშირი, ასევე საჩივრებისა და წინადადებების კომისიის და მონაცემთა ბაზის შექმნის მნიშვნელობაზე, ცხელ ხაზზე. განხილულ იქნა მოქალაქეთა ქარტია შესაბამისი დანართი დოკუმენტით.

ქ. პაპაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია მეორე რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-პროექტების შესახებ და დეტალურად ისაუბრა ქვე-პროექტის - „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ.

ქ. პაპაშვილმა განიხილა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, ასევე შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მოთხოვნები, განიხილა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნა, რომ ხსენებული ქვე-პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და სხვა სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ქვე-პროექტები განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული

განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ქ. პაპაშვილმა აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება, უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე ისაუბრა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურებზე.

ქ. პაპაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს, დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
ვინ გაუწევს ზედამხედველობას სარეაბილიტაციო სამუშაოებს?	ზედამხედველობას გაუწევს საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმა, რომელიც მუშაობს დასავლეთ საქართველოში რეგიონული, მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტზე, კერძოდ კი „ესპანური ფირმა ეპტისა“
თქვენი საუბარი ადმინისტრაციულ საჩივრებსაც ეხება თუ მხოლოდ პროექტთან დაკავშირებულ საჩივრებს?	მონაცემთა ბაზა შეგიძლიათ ნებისმიერი საჩივრისათვის გამოიყენოთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჩვენს პროექტებთან დაკავშირებით ვისაუბრეთ. როგორც იცით, ადმინისტრაციულ საჩივრებთან მიმართებაში პროცედურა გაწერილია საქართველოს კანონმდებლობაში. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროცედურა კი ეხება ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ფარგლებში და აგრეთვე მგფ-ის მიერ განხორციელებულ სხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილ საჩივრებს.
საჩივრებთან დაკავშირებით სარეკომენდაციო გაიდლაინები ხომ არ გავთ?	მე გესაუბრეთ ამის შესახებ და მოქალაქეთა ქარტიაშიც არის მოცემული.
მცენარეული საფართან დაკავშირებული თუ იგეგმება რაიმე სახის სამუშაოები?	რა თქმა უნდა, გარდა მშენებლობა-რეაბილიტაციისა ბაღის ტერიტორიაზე

	არსებული მცენარეული საფარის კონსერვაციაც მოხდება.
ჩატარდა თუ არა ბაღის მცენარეული საფარის ინვენტარიზაცია?	ჩატარდა და არსებობს სრული მონაცემები
ბოტანიკურ ბაღს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, საჭიროა თუ არა რაიმე სახის ნებართვა?	საჭიროა ნებართვის აღება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან. პროცესი დაწყებულია უკვე.
როდესაც აღნიშნული პროექტი შემუშავდა, იქნა თუ არა მოსახლეობის შენიშვნები გათვალისწინებული?	შენიშვნები იქნა გათვალისწინებული მაშინ როდესაც მიმდინარეობდა პროექტის განხილვა და ეს პროცესი გრძელდებოდა 2 წლის განმავლობაში. ამჟამად პროექტს მიეცა საბოლოო სახე, შეთანხმებულია, დამტკიცებულია და სანამ სატენდერო პროცედურები დაიწყებო კონტრაქტორის შესარჩევად, მიმდინარეობს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართის გეგმა დაინტერესებულ მხარეებთან. ყველა არსებული შენიშვნა თავიდან ბოლომდე იან გათვალისწინებული, შედეგად აგრეთვე შეიცვალა (გაიზარდა პროექტის ღირებულება და მოიცავს დენდროლოგიას, წყალგაყვანილობას და ბოტანიკური ბაღის სრულ რეაბილიტაციას)
შემოღობვა და ჭიშკრები თუ იქნება?	რა თქმა უნდა პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს როგორც შემოღობვას, აგრეთვე ჭიშკრების დამონტაჟებას. კარიბჭე იქნება ბაღის სამი მხრიდან.
შესვლა ფასიანი იქნება?	პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე სალარო ჯიხურების ჩადგმა შესასვლელებთან. ბაღში შესვლის საფასურს გადაწყვეტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და ეს თანხა მოხმარდება ბაღის მოვლა-პატრონობას. იგეგმება ბაღში შესვლისთვის გარკვეული საფასურის დაწესება, თუმცა ეს ახლო მომავალში არ განხორციელდება და შემოღებული იქნა მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდგომ. მერის განცხადებით, შესაძლოა, დილის საათებში ბაღში შესვლა იყოს უფასო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, რამდენადაც წლების განმავლობაში ეს ხალხი

	დილის საათებში აქ მოდის სავარჯიშოდ და მძიმე ტვირთად რომ არ დააწვეთ ეს გადასახადი.
მოხდება თუ არა არსებული ღობის დემონტაჟი?	არ მოხდება არსებული ღობის დემონტაჟი, მხოლოდ რეაბილიტაცია და გარკვეული დეტალების დამატება.
შეიცვლება თუ არა თანამშრომელთა რაოდენობა ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის შემდეგ?	შესაძლებელია მოხდეს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა გამოდინარე იქიდან რეაბილიტირებული ბაღი, როგორ მოითხოვს. ამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ რეაბილიტაციის პროცესში მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, აგრეთვე პროექტის დასრულების შემდგომ. ამასობაში კი მერიის მხრიდან გადაწყდება თუ რა სამართლებრივი ფორმა ექნება ბოტანიკურ ბაღს ეს იქნება ა.ა.ი.პ, შპს თუ სხვა.
სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ვინ მოუვლის ბაღს?	მშენებელი იქნება ყველაფერზე პასუხისმგებელი და გარდა ამისა, ზედამხედველი კომპანია, რომელიც დაქირავებული ჰყავს მგფ-ს, ზედამხედველობას გაუწევს რომ არ დაზიანდეს ნარგავები, სამშენებლო ნარჩენები დროულად იქნეს გატანილი და ყველა ის პირობა, რომელიც კონტრაქტორს განესაზღვრა იქნას შესრულებული.
შეფასებულია თუ არა ბაღის მცენარეული საფარი?	დენდროლოგიური კვლევა ჩატარებულია. თავიდან პროექტის ღირებულება შეადგენდა 3 მილიონ ლარს, ხოლო პროექტი განხილვების შედეგად იმდენად შეიცვალა, რომ ფაქტიურად გასამმაგდა.
საჯინიბოს რა ფუნქცია ექნება მომავლში?	საჯინიბო დღეს ძალიან სავალალო მდგომარეობაშია, სარეველა ბალახებით არის დაფარული. ვინაიდან ეს შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, პროექტის შედეგად მოხდება მისი კონსერვაცია.
თუ შეიძლება ჯვარედინ სასახლეზე რომ გვითხრათ მეტი დეტალები	ის შენობები, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - საჯინიბო და ჯვარედინი სასახლე, მოხედება მათი კონსერვაცია. მოხდება კედლების აღდგენა გარკვეულ სიმაღლემდე. აგრეთვე

	შენარჩუნებული იქნება მნიშვნელოვანი დეტალები, როგორცაა ბუხრის ადგილი, იატაკის და კედლების პირვანდელი სახე.
ტბის ფსკერზე თუ ჩატარდება რაიმე სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები?	პროექტი ითვალისწინებს პარკის ტერიტორიაზე არსებული ტბორის კედლებისა და ფსკერის რეაბილიტაციას და მთლიანად ჩაისმება რკინა-ბეტონში. ტბისთვის იქნება გამოყენებული რკინა-ბეტონი და არმატურა. მოაჯირები კი იქნება ისეთივე დაბალი როგორც დღესაა. გამწვანების სამი დონე მოეწყობა.
ბილიკების განათება მოხდება ხომ?	რა თქმა უნდა ბილიკების განათება მოხდება, როგორც აღვნიშნეთ, პროექტი ითვალისწინებს გარე განათების მოწყობას ბოტანიკური ბაღის მთელ ტერიტორიაზე.
გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში აგრეთვე წერია, რომა რის ობიექტები, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. რას გულისხმობთ ამაში?	დიახ, არის მსგავსი ჩანაწერი და იგულისხმება ის შენობები, რომელიც დღეის მდგომარეობით უფუნქციოა და არც რაიმე ისტორიული ღირებულება არ აქვს, მაგალითად დირექტორის ძველი ოფისი და ძველი საპირფარეშო.
თუ მოეწყობა ახალი საპირფარეშოები?	შესასვლელებთან იქნება მოწყობილ და აგრეთვე ადმინისტრაციულ შენობასთან.
საშუალოდ რამდენი ხანი ჭირდება ტენდერის პროცედურას?	40 დღე არის ტენდერის მიმდინარეობის პერიოდი და შემდეგ უკვე შეფასება მოხდება.
საჯინიბოს გვერდით არის საზაფხულო რეზიდენციის ნანგრევები და რას გვეტყვით მაგაზე?	როგორც უკვე აღინიშნა, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძველი ობიექტების კონსერვაცია მოხდება ბოტანიკურ ბაღში.
როგორ არის შიდა გზების მოწყობა გათვალისწინებული?	ბილიკები მოეწყობა ისე, რომ ბაღის ირგვლივ მდებარე ოთხივე ქუჩაზე იყოს გასასვლელი.
თუ შეიძლება, რომ გვანახოთ სკამების, ბილიკების, კარიბჭეებს ნიმუშები	დამსწრეთა თხოვნის შესაბამისად, პროექტორით გაშვებული წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ფოტომასალა.
საპირფარეშო როგორ გამოიყურება?	საპირფარეშოს ექნება მინის ეფექტი, რომ დაიფაროს და ამავდროულად მოხდეს არეკვლა გამწვანების.
კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოდან თუ აქვს მოწონებული ეს პროექტი?	მათი დაკვეთით ხორციელდება პროექტი.

როგორ იქნება ტურისტული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი?	ამას უკვე გადაწყვეტს ადგილობრივი თვითმმართველობა და შესაბამისად დაწესდება ფასები და პირობები.
იქნება თუ არა კაფე?	ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოეწყობა კაფეტერია.
დენდროლოგიურ ნაწილში, თუ მოხდება დაავადებული მცენარეების დაცვა?	რა თქმა უნდა მოხდება დაცვა-აღდგენა და კონსერვაცია.
როდის შეირჩევა ზედამხედველი?	მგფ-ს ჰყავს დაქირავებული კომპანია, რომელიც კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ქვე-პროექტებზე ახორციელებს მონიტორინგს.
იქნება თუ არა კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება?	შესყიდვების წესების თანახმად, ხელშეკრულებით ვერ განისაზღვრება კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ. თუმცა კონტრაქტორების მიერ უმეტეს შემთხვევაში ხდება ადგილობრივი მუშა-ხელის დაქირავება.

გარემოსდაცვითი დოკუმენტების და სოციალური ანგარიშვალდებულების განხილვის შემდგომ, დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა მოწონება მიმდინარე პროექტის თაობაზე. დამატებითი შეკითხვები და კომენტარები არ ჰქონიათ.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარეობდა შეხვედრის ვიდეო ჩაწერა და მისი პირდაპირ ტრანსლაცია მოხდა მერიის ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდზე.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტის ქეთევან პაპაშვილის მიერ.

19 ივლისი, 2017

შეხვედრის მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ქვეპროექტი - ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია

ქალაქზუგდიდში

19 ივლისი, 2017 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/მოქალაქე	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ბაქო მესხი	ქ. ზუგდიდის მუხ	595-300-444	ბაქო მესხი
2.	სანდრო სოხია	ქ. ზუგდიდის მუხ	591-44-53-27	სანდრო სოხია
3.	ვესი ახსუ	ქ. ზუგდიდის მუხ	591-44-53-42	ვესი ახსუ
4.	გიგოლო ჭაბუა	ქ. ზუგდიდის მუხ	591-44-53-68	გიგოლო ჭაბუა
5.	ვახტანგ დოლო	ქ. ზუგდიდის მუხ	595 22 95 77	ვახტანგ დოლო
6.	ზაქარია დოლო	ქ. ზუგდიდის მუხ	599 53 53 39	ზაქარია დოლო
7.	მამუკა დოლო	ქ. ზუგდიდის მუხ	591-44-53-63	მამუკა დოლო

8.	Համես Զմարտի	Դ. Զյզեքեռ Զոնա-	599 85 23 95	
9.	Զրուհյան Շարուն	Ստրուտիստ Լուսինյան	599 85 23 96	
10.	Հայկ Օրմուշ	Ստրուտիստ Լուսինյան	599-34-88-24	
11.	Եսոն Զոխան	Տիտոստեղծ Լուսինյան	579 89 09 73	
12.	Նոնո Գրուհյան	Յակոբյան Սեդրակ Լուսինյան	593 313931	
13.	Մուշկ Յոհան	Ստրուտիստ "Զոհյան"	599 617847	
14.	Զոնա Զարյան	CENN-Վ Զարյան Յոհան Զարյան Լուսինյան - Զոնա Զարյան	599 154096 maria.kadua@gmail.com	Զ. Զարյան
15.	Քոչար Գրուհյան	Դ. Զյզեքեռ Գրուհյան	591445373	
16.	Նիկոլ Զոհան	Դ. Զյզեքեռ Գրուհյան	591 445369 irakti0478@gmail.com	
17.	Քոչար Զարյան	Լուսինյան Նիկոլ (ISFED) Կոչար Զարյան	597 12 34 88 kateragabardian@gmail.com	
18.	Երանյան Զարյան	Լուսինյան Սթրուտիստ Կոչար Զարյան	1149207.gabelia@gmail.com	

ფოტომასალა:





საჯარო შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია ხორციელდებოდა და ვიდეო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.facebook.com/zugdidismeria/videos/1525150674173128/>

7/21/2017

პროექტის - „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის... - ქალაქ ზუგდიდის მერია

Sign Up


Email or Phone Password Log In

Forgotten account?


English (UK) · ქართული · Русский · Español · Português (Brasil)

Privacy · Terms · Advertising · Ad Choices · Cookies · More

Facebook © 2017



-37:33

 ქალაქ ზუგდიდის მერია was live.
Yesterday at 01:22 ·

პროექტის - „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია“, მუნიციპალიტეტის და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და სოციალური ანგარიშგაღებულების საჯარო განხილვა.

ქვეპროექტი ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მეორე რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის(RMIDPS) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ქვეპროექტი ითვალისწინებს ქ. ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციას.

1.2k Views

30 Likes 21 Shares

Share